

ოქმი N9

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

2017 წელი, 3 აპრილი

ქ. ოზურგეთი, 10⁰⁰სთ

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:
ნ.გოგუაძე.

კომისიების თავმჯდომარეები: ლ.თოიძე, ი.საჯაია, ნ.ტაბატაძე,
მ.მახაროზლიძე, ლ.ბიგვავა

ფრაქციის თავმჯდომარეები: ნ.ორაგველიძე, კ.კვაჭაძე.

საკრებულოს წევრები: გ.ძიმისტარიშვილი, ლ.მგელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს
უფროსი ლ. ჭელიძე, საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები,
არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

არ ესწრებოდნენ: ნ.შარაშანიძე, ვ. ჩიგოგიძე, თ.ნადირიძე, თ.სალუქვაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ნ. გოგუაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, რომელიც
დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სარეკრეაციო ტერიტორიებსა და საზოგადოებრივ სივრცეებში განაშენიანების რეგულირების წესების განსაზღვრის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებლები: ლევან ხინთიბიძე

თამაზ ტრაპაიძე

ირინე საჯაია

მომხსენებელმა თ. ტრაპაიძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი. აღნიშნა, რომ განაშენიანების გენერალური გეგმის არარსებობის გამო კარგი იქნებოდა მიგველო დროებითი წესი სარეკრეაციო ტერიტორიებისა და საზოგადოებრივ სივრცეებში განაშენიანების რეგულირების შესახებ.


- აზრი გამოთქვებს:**
- ნ. ორაგველიძე** - სარეკრეაციო ზონების ჩამონათვალი რომ გქონდეთ თანდართული, კარგი იქნებოდა.
 - თ. ტრაპაიძე** - ზონები უნდა განსაზღვროს საკრებულომ და მერიამ კომისიებთან ერთად.
 - ლ. ზიგვავა** - ეს არის მერიისა და საკრებულოს პრეროგატივა.
 - ლ. მგელაძე** - ჩემი წინადადებაა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე მივიღოთ მერიის შესაბამისი კომისიიდან დასკვნა.
 - ლ. ხინთიბიძე** - შეიძლება განისაზღვროს ზოგადი სახელით - ანუ სარეკრეაციო ზონად, შემდეგ შეიძლება დაიწეროს მერის ბრძანება, რომელ ტერიტორიას რა სახელი მიენიჭოს. თუ ვინმეს ექნება განსხვავებული აზრი, ჩვენ მზად ვართ კომისიებთან ერთად ვიმუშაოთ.
 - ნ. გოგუაძე** - მივესალმებით მოქალაქეთა ჩართულობას, რაც თვითმმართველობის ძირითადი პრინციპია. საკითზე ვიწყებთ საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას.

**დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა ერთხმად
განკარგულება თან ერთვის**

სხდომის თავმჯდომარე ნინო გოგუაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა